# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 110

„28" აპრილი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქ. №2, 4, 6, 8, 10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა პროექტის დასამუშავებლად გაცემულ 2006 წლის 30 ოქტომბრის კოლ-1/184 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 23 თებერვლის №8 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 18 აპრილის №04/4781 წერილის (AR1478978) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 30 ოქტომბრის კოლ-1/184 ქალაქმშენებლობით პირობებით დამტკიცებულ ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ჩაჩავას ქ.№2, 4, 6, 8, 10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა პროექტში. საპროექტო არეალში შემავალ საკადასტრო ერთეულად დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო კოდი: №01.13.02.004.053. გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის ჯამურ ფართობად 6620 კვ.მ.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი